საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1550 2025 წლის 24 სექტემბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის №1106 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 10 ივლისის №1106 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების (დიდთოვლობის) შედეგად დაზიანებული ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 44 134 000 (ორმოცდაოთხი მილიონ ას ოცდათოთხმეტი ათასი) ლარი, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – 14 175 000 (თოთხმეტი მილიონ ას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – 7 365 000 (შვიდი მილიონ სამას სამოცდახუთი ათასი) ლარი;

გ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – 3 805 000 (სამი მილიონ რვაას ხუთი ათასი) ლარი;

დ) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – 1 360 000 (ერთი მილიონ სამას სამოცი ათასი) ლარი;

ე) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – 2 285 000 (ორი მილიონ ორას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი;

ვ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – 7 465 000 (შვიდი მილიონ ოთხას სამოცდახუთი ათასი) ლარი;

ზ) ვანის მუნიციპალიტეტს – 1 775 000 (ერთი მილიონ შვიდას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

თ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – 2 695 000 (ორი მილიონ ექვსას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

ი) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი;

კ) სამტრედიის მუნიციპალიტეტს – 1 075 000 (ერთი მილიონ სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

ლ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – 1 995 000 (ერთი მილიონ ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

მ) ხონის მუნიციპალიტეტს – 49 000 (ორმოცდაცხრა ათასი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**